

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კარლო კვიციანიშვილის  
მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის  
წარდგენის ოქმი.**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**სოფელი, თემი, დაბა:** ქალაქის ადმინისტრაციული ერთეული

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 01.07.2019 წელი 12:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს წევრი და ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კვიციანიშვილი, საკრებულოს წევრი ზაალ სანაზე. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნინო ებრალიძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ნანა წილოსანი.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება მოსახლეობისთვის.

საკრებულოს წევრმა კარლო კვიციანიშვილმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელმძღვანელობას და მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად.

მაჟორიტარმა დეპუტატმა, საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2)საკრებულოს

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში. ამავდროულად არის ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ასევე, ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში 2018 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კერძოდ:

- ურუმადის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხები ;
- მშვიდობის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხები;
- ყაზბეგის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხები;
- ბაგრატიონის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხები;
- ურუმადის ქუჩაზე გიორგი შარაბიძის სახლთან მოეწყო გაბიონი ;
- კერხანოჩიევის საცხოვრებელ სახლთან მოეწყო გაბიონი;
- ლიშისღელის სასაფლაოსთან მოიხრემა მისასვლელი გზა;

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გაუწია 49 მოქალაქეს, აქედან 28 ადამიანს დახმარება გაეწია მედიკამენტებზე, 7 ბენეფიციარს დაუფინანსდა საოპერაციო თანხა, სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 9 ადამიანს, ასევე დახმარება გაეწიათ მრავალშვილიან ოჯახებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკულ უკმარისობით დაავადებულთა ბენეფიციარებს.

2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 18 ოჯახს გადაეცა სახლის სახურავის საჭირო სამშენებლო მასალა.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა 2019 წელს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, კერძოდ:

- გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს ქალაქის ტექნიკური წყლით მომარაგება;
- მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ურუმადის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონისა და ბარათაშვილის ქუჩის შესახვევებთან სანიაღვრეების მოწყობა;
- თავისუფლების ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა;
- წმ. ნინოს ქუჩაზე და წილოსნების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ბაგრატიონის ქუჩაზე ლაშა დუდუჩავას სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა;
- თავისუფლების ქუჩაზე იგეგმება ი.დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის რეაბილიტაცია;
- თავისუფლების ქუჩაზე ასფალტის საფარის წერტილოვანი შეკეთება;
- იგეგმება მდინარე ლაშისღელის კალაპოტის გაწმენდა;
- ბარათაშვილის ქუჩის ბოლოში არხის მოწესრიგება;

ანგარიშის წარდგენის შემდეგ საკრებულოს წევრმა, კარლო კვიციანიშვილმა მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ მიერ დასვა შემდეგი სახის პრობლემები, კერძოდ:

- კუპრეიშვილის ქუჩაზე (ბინა №12) არსებული ბინის სარდაფის მოწესრიგება,
- ქ. ლანჩხუთში შიდა გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება,
- კუპრეიშვილის ქ. (ბინა №12) ეზოს მოწესრიგება.

საკრებულოს თავმჯდომარე, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს წევრები ქალაქის ადმინისტრაციულ მოსახლეობას დაპირდა, რომ აქტიურ მუშაობას გაარძელებდნენ, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

**პატივისცემით,**

კარლო კვიციანიშვილი

თავმჯდომარის მოადგილე  
ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"